ავტობიოგრაფია

დავიბადე 1985 წლის 23 იანვარს, ქ. თბილისში.

2002 წელს წარჩინებით დავამთავრე ასპინძის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა.

2006 წელს წარჩინებით დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და იურისტის კვალიფიკაცია.

2005-2006 წლებში გავიარე გერმანული ენის შემსწავლელი კურსები თბილისის გოეთეს სახელობის ინსტიტუტში (Goethe-Institut Tbilissi).

2008 წელს წარჩინებით დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრატურა და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2006 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2007 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

2010 წლის მარტში ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2010 წლის ივნისში ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციაში.

2006 წლის ნოემბრიდან 2007 წლის მაისამდე ვმუშაობდი ადვოკატის თანაშემწედ, სპს „კონსულტანტში“.

2007 წლის მაისიდან 2008 წლის დეკემბრამდე გავიარე სტაჟირება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2008 წელს გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2008 წლის 15 დეკემბრიდან 2010 წლის ივნისამდე ვმუშაობდი სასამართლო სხდომის მდივნად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

2010 წლის ივნისიდან 2014 წლის აპრილამდე ვიყავი მოსამართლის თანაშემწე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

2014 წლის აპრილიდან 2016 წლის მაისამდე ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს მოსამართლის მწერალი თანაშემწე.

2016 წლის მაისიდან 2017 წლის თებერვლამდე ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შტატგარეშე მოსამსახურე - მოსამართლის თანაშემწე (მთავარი კონსულტანტი), ხოლო 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის აპრილამდე - ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე.

2017 წლის აპრილიდან 2017 წლის ივლისამდე ვასრულებდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს რეფერენტის მოვალეობას.

2017 წლის ივლისიდან 2018 წლის აპრილამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, სამართლებრივი მხარდაჭერის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანაშემწედ.

2018 წლის აპრილიდან 2020 წლის მარტამდე ვიყავი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე.

2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს თანაშემწედ.

2021 წლის მარტიდან 2023 წლის ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მეორე რანგის მეორე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს მთავარ კონსულტანტად - მოსამართლის თანაშემწედ.

2022 წლის 28 მაისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ივლისამდე ვიყავი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

ნ. გოგოლაძე

ნანა გოგოლაძე